63

№ 168
აგვისტოს 9, პარასკევი 1902 წ.
1877

ივერია

№ 168
აგვისტოს 9, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს **ხუთ მანეთად** და **ათ შაურად** (5 მ. 50 კ.)
ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი
საბუღალტერო კურსები
ნ. ვ. აბრაამიანისა
(იხილე მე-4 გვერდზე) (25—379—15)

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის **მაღაზიაში**
(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** 25 $^0/_0$-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა საცვანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის) თავმჯდომარე პ. მდივანი
) წევრი ვ. კიწმარიშვილი
ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

(10—6.—7)

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“
ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად
დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა	1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა	2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, სიბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, სადაც პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან. იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა, ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

[illegible] და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—11)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.
(წლ.)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი
იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.
გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.
გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
ზრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ტფილისი

◆ 7-ს აგვისტოს ბ-მა სერბულოვმა აღასრულა თავისი დაპირება და კონცერტის მეორე განყოფილებაში მისმა ორკესტრმა თავ. მ. ჯანდიერის ლეკური დაუკრა; კრუჟოკში ავდრიანობის გამო ხალხი ცოტა იყო, მაგრამ, ვინც-კი დაესწრო, ყველანი დიდს აღტაცებაში მოვიდნენ, და სერბულოვმა ლეკური განიმეორა. ბევრნი მაშინათვე მივიდნენ ბ-ნს სერბულოვთან და მადლობა განუცხადეს; სერბულოვი თავისს მხრივ დაჰპირდა საზოგადოებას რომ 8-ს აგვისტოს სიმფონიურ საღამოზედ კიდევ განვიმეორებ თქვენ მიერ ასე მოწონებულ ლეკურსაო.

◆ ჩვენ გვაცნობებენ, რომ მიხ. ივ. თამამშევი, ადრინდელი გამგე ტფილისის საკომერციო ბანკისა—პარიჟის რუსულს უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს შესახებ საქართველოსა და სომხეთის ისტორიისა და ლიტერატურისა, და ამ ძნელისა და რთულის საქმის შესასრულებლად ერთს ჩვენს თანამშრომელს მიჰმართა, დაგვისახელეთ, რა და რა წყაროები არსებობს ამ საგნის შესასწავლადაო.

◆ მოგვივიდა კატალოგი ნამყნევ ხეხილისა, რომლის გაყიდვასაც აპირობს ამ შემოდგომაზედ ტფ. საბოტანიკო ბაღი. კატალოგს წინ უძღვის პატარა წერილი იმის შესახებ, თუ რა პირობით შეიძლება ხეხილის გაყიდვა და გაგზავნა სადმე შორს; აგრეთვე მცირე დარიგება, როგორ უნდა დაირგას ანუ ჩაიყაროს ხეხილი. თითო ნერგი ერთის წლისა გაიყიდება 5—30 კ. იმის მიხედვით, თუ რა ხეხილია და რა ჯურისა.

◆ მოგვივიდა აგრეთვე ორი წიგნაკი: Годовой отчѣтъ о состояніи рус. публ. библіотеки въ г. Юрьевѣ съ 1-го янв. 1901 г. по 1-ое янв. 1902 г. და Правила о мѣропріятіяхъ противъ чумы рогатаго скота и ветеринарно-санитарномъ надзорѣ въ Закавказіи.

◆ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ ამ ორი-სამის კვირის წინად „კრუჟოკში“ უვარგისად მომზადებულმა მაროჟნიმ რამდენი სჯა და ბაასი გამოიწვია საზოგადოებაში; ისიც მოეხსენებათ, თუ ამ მაროჟნის გამოკვლევამ, ქალაქის ლაბორატორიის გამგემ ბ-ნმა ალიბეგოვმა რა დიდი მნიშვნელობა მისცა ახალ კვერცხისა და რძის ხმარებას, როგორც მოროჟნში, აგრეთვე ყოველსავე ამით მომზადებულ საჭმელში; ამიტომ ბ-ნმა ალიბეგოვმა ამ დღეებში მიჰმართა ქალაქს გამგეობას და სთხოვა შეიმუშაოს და გამოსცეს სხვა-და-სხვა სავალდებულო წესი რძის გამყიდველთათვისაც, როგორც შემოღებულია სხვა-და-სხვა სანოვაგისათვისაო.

◆ ქალაქ ქუთაისის გამგეობის წევრი ბ-ნი გველესიანი დეპეშითა სთხოვს ტფილისის გამგეობას, შეგვატყობინეთ, როგორ ფასობს ტფილისში ხორციო.

◆ 1 სექტემბრიდგან დაიწყებს მოქმედებას ახალი წესი საბეითალო-საპოლიციო ღონისძიებათა მიღებისათვის საქონლის ჭირის საწინააღმდეგოდ. ამ წესით, ფული მიეცემა არა მარტო იმას, ვისაც ჭირით ავადმყოფს საქონელს მოუკლავენ არამედ იმასაც, ვისაც სხვა რამ ავადმყოფობით მოუკვდება საქონელი და ამ ამბავს თავის დროზედ აცნობებს ბეითალს. ახალის წესითვე ადგილ-ადგილის ბეითლებს დაენიშნებათ ჯამაგირად პირველ რიგისას: 1,500 მან., მეორისას—1,200 მან., მესამისას 1,000 მან.

◆ რკინის გზის გამგეობა აპირობს შემოდგომაზედ იაფი სასადილო გაჰმართოს ტფილისის სადგურზედ თავის მცირე ჯამაგირიან და ხელ-მოკლე მოხელეთათვის.

◆ ქრისტეანობის აღმადგენელ საზოგადოების საბჭოს განუზრახავს რამდენიმე სამისიონერო სკოლა კიდევ გაჰმართოს.

◆ კახეთისკენ ბევრგან დიდს მოსავალს თურმე მოელიან ღვინისას.

◆ როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, ქალაქის გამგეობას 18 მკათათვეს კრება ჰქონდა იმის შესახებ, რომ გაიმართოს მესამე განყოფილება ქალაქის ხორცის დუქნებისა ვერაზედ და საზოგადოდ უკეთ მოეწყოს შემოსავალ-გასავლის საქმე ამ დუქნებისაო. 8 ამ თვეს ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მოიწვიოს ამ საქმის გამგემ ბ-ნმა ალიხანოვმა საჭირო კაცნი და ქალაქის ხორცის დუქნების კონტორა მოთავსდეს ქალაქის სახლშიო; თუ ეს სადგური საკმარისი არ იქნეს, ან უხერხული იყოს მაშინ ქალაქის სახლის ახლო დაიქირაონ სახლი კანტორისთვისაო. ახლავე დაევალა ალიხანოვს მოძებნოს შესაფერი ადგილი ვერაზედ ხორცის დუქნისთვის. ამ დუქნების გამგეს ალიხანოვს დროებით დაენიშნა 1560 მან. ჯამაგირად და 480 მან. გზისა და მისვლა-მოსვლის ხარჯად.

◆ გამგეობაში დღევანდლამდე 24 კაცს შეუტანია განცხადება ძველის ობლიგაციების გამოსაცვლელად 138,700 მანეთისა.

◆ „Петерб. Вѣд.“-ში დაბეჭდილია წერილი ქრ. ვერმიშევისა შავის ზღვის პირის დასახლებისა და გაცხოველების შესახებ ადგილ-მამულის კარგის შემუშავებით. მარტო რუსნი არ უნდა იქმნას იქ დასახლებულნი. ბევრს ვერც არას გააწყობენ ისინი. მდიდარნი რუსნი გააცხოველებენ თვით ზღვის-პირის ესე 100,000 დესეტინას, დანარჩენი 500,000 დესეტინა შეუმუშავებელი დარჩება. ამისათვის საჭიროა ყველა კავკასიელს მიეცეს ნება იქ მოსახლობისა. ეს არც პოლიტიკურად იქნება საშიში რუსეთისათვისაო.

◆ ჩინური ატამი ძრიელ თურმე ხეირობს ჩვენში. გემოთი კარგია, გარეგნობით ძალიან თავისებური სახე აქვს თვით ნაყოფს, ხოლო ხე ადვილად თურმე იტანს ჰაერის ყოველგვარ ცვლილებას. ისყიდება ეს ჯურა ატმისა ტფ. ბოტანიკურს ბაღში.

◆ მერმისიდგან აპირობენ შეუდგნენ მუშაობას და სახელმწიფო გლეხთა ყოფა-ცხოვრების მოწყობას ქუთაისის გუბერნიაშიაც.

◆ საგარეჯოდან გვატყობინებენ: 2 აგვისტოს, საღამოთი, პატარძეულსა და საგარეჯოში ისეთი ძლიერი სეტყვა მოვიდა, რომ სულ ერთიანად ჩარეგვა ვენახები და სიმინდები გააფუჭა. ზარალი მეტად დიდია. სეტყვა 20 წამი მოდიოდა. („ცნ. ფ.“).

◆ გაზ. Кавк.-ს სწერენ პეტერბურგიდგან, რომ პოდპოლკოვნიკს 43 ტვერის დრაგუნთა პოლკისას თავ. მიქელაძეს ებოძა პოლკოვნიკობა. თავ. მიქელაძეს ამასთანავე სამსახურისათვის თავი დაუნებებია.

◆ ონიდგან სწერენ იმავე გაზეთს, რომ სამხედრო-ოსეთის გზა, გაფუჭებული მიწის ზვავებისაგან, უკვე შეუკეთებიათ.

◆ გუშინ-წინ მცხეთიდგან ქალაქში ჩამოიყვანეს რევოლვერით მძიმედ დაჭრილი ახალგაზრდა 18—20 წლის ქალი, მკურნალის გადომსკისა. ქალს შემთხვევით გავარდნოდა რევოლვერი ოთახში სინჯვის დროს.

◆ კოკჩაევი, როგორც ახალი წევრი ქალაქის გამგეობისა, მუყაითად ადევნებს თვალ-ყურს ყველა ქალაქის დაწესებულებას; ამ დღეებში უნახავს აგრეთვე ქალაქის საქიმიო ლაბორატორია და საკმარისად მოწყობილი არ აღმოჩენილა შედარებით იმ წარმატებასთან, როგორც ეტყობა ქალაქს. შენობაც შესაფერი არ აღმოჩენილა; ამიტომ განზრახვა აქვს, რადგანაც იმ სახლის დაქირავების ვადაც, სადაც ეხლა ლაბორატორიაა მოთავსებული, თავდება, შეიტანოს გამგეობაში წინადადება, რომ ლაბორატორიისათვის მოიძებნოს უფრო შესაფერი სახლი.

◆ 7 აგვისტოს ქალაქის გამგეობის წევრმა ბ-ნმა კოკჩაევმა მოახსენა, რომ ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილი ეხლა ადრე იკეტება ხალხისათვისაო, ე. ი. $9^1/_2$ საათ. და არა იმ დროს, როგორც გარდაწყვეტილია გამგეობისაგანაო, დაადგინეს: 1) აცნობოს მებაღეს რომანოვს, რომ დღეის იქით ბაღი 11 საათზედ ადრე არ იკეტებოდეს, 2) ეთხოვოს პოლიცმეისტერს, რომ წესის დასაცველად იყოლიოს მორიგე ქუჩის მცველი იმავე დრომდე და 3) ქუჩების გამნათებელს ემცნოს, რომ ვაშინგტონის სისტემის ფანრებით გაანათოს ეს ბაღი 11 საათამდევე.

ჩვენებური ამბები

ლანჩხუთი. ლანჩხუთის საზოგადოების განაჩენი შესახებ სამოქალაქო სასწავლებლისა, სამინისტრომ უკვე დამტკიცა და 1-ლ ივლი-

სიდგან უკვე ოფიციალურად არსებობს სამოქალაქო სასწავლებელი.

თუმცა ამ სასწავლებლის შენახვა საზოგადოებას ძალიან ძვირად უჯდება, მაგრამ ის იმდენად აფასებს სწავლა-განათლებას, რომ არავითარ ხარჯს, არავითარ შრომას არ ზოგავს, რაც შეიძლება მეტი სასწავლებელი დაიარსოს და შვილები უსწავლელი არ დაურჩეს. ამ მხრით ლანჩხუთის საზოგადოებამ გურიის ყველა საზოგადოებას გაასწრო. ერთის თვის წინად ჩვენმა საზოგადოებამ კვლავ შეადგინა განაჩენი ახალის ორ-კლასიანი სკოლის დასაარსებლად. ეს განაჩენიც უკვე დამტკიცდა და 1-ლ ენკენისთვიდგან, ორ-კლასიანი სკოლაც გვექნება.

სამოქალაქო სასწავლებელს დაუთმო საზოგადოებამ არსებული ორ-კლასიანი სკოლის ორ-სართულიანი ქვის შენობა. ეს შენობა შეკეთებას მოითხოვს. ამის შესახებ ზრუნვა საზოგადოებამ დაავალა ნიკოლოზ ურუშაძეს, ნიკიფორე ურუშაძეს და კოსტ. იმნაძეს. მათ არავითარი შრომა და მეცადინეობა არ დაუზოგნიათ, რომ სასწავლებლის საქმე რიგიანად მოეწყოთ. სკოლის შეკეთება საზოგადოებას უჯდება 500 მანეთამდე. იმედია, ამ მცირე ხარჯს მაინც იკისრებენ ადგილობრივი ვაჭრები და მით ცოტათი შეუმსუბუქებენ მძიმე ტვირთს თავიანთს მოძმეებს.

Speculum.

—

გორი. თავ. სვ. ვეზირიშვილის მოკვლის გამო სამი ხიზანი იყო დაჭერილი. ვერას გზით იმათი გამოტეხა ვერ მოახერხეს ამ ბოლოს დრომდე. 4 აგვისტოს გამოსტეხა ბოროტ-მოქმედნი სოფლის ბოქაულმა ბ-ნმა გოგოხიამ. ეს ბოროტ-მომქმედნი თავ. სვ. ვეზირიშვილის მამულზედ იყვნენ დასახლებულნი ხიზნებად. პირველში სულ იმას ამბობდნენ, არა ვიცით რა, ჩვენ არ მოგვიკლავსო, და ასე მართლულობდნენ თავს. ბოლოს ბოქაულმა ხერხს მიმართა: დაიბარა გორში ეჭვ-მიტანილი ოსიხიზნები და სამაზრო სამმართველოში წარადგინა. დასხა ცალკე ოთახში და მეორე ოთახიდგან თვით მაზრის უმფროს ყური დაადებინა იმათ ლაპარაკისათვის. ბ-ნმა გოგოხიამ დაუწყო ტკბილის ენით საუბარი: სთქვით, ვინ იყვნენ მკვლელებიო. აღუთქვა, რომ არ გაგცემ, პირ-იქით დავასაჩუქრებინებო; აუხსნა ისიც, თუ რისთვის უნდა მკვლელობის შეტყობა: „მსურს გავიგო და ფული გამოვართვა, რომ ეს საქმე ჩავფარცხო, ისე რომ ვერავინ გაიგოს; თუ იცით, ვინც არიან, თქვენვე უთხარით, რომ ერთი 600 მან. მომიტანონ და ამ საქმეს შევაჩერებო“. მკვლელნიც მოსტყუვდნენ. მართლაცა და იფიქრეს, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო და გამოუტყდნენ, რომ ჩვენა ვართ მკვლელები, მაგ ფულს მოგცემთ მხოლოდ ეხლა-კი არა გვაქვს მაგდენი. ოღონდ ეგ საქმე ჩააჩუმე, დევნას ნუ დაგვიწყებ, და ჯერ-ჯერობით აი, ეს 250 მ. მიიღე; დანარჩენსაც ჩვენ თვითონ გამოგიტანთ ამ ორ დღეშიო. როდესაც აძლევდნენ ფულს, ამ დროს განზრახებული მაზრის უფროსი შეაღებს კარებს და შევა იმ ოთახში; ბოქაულიც წარუდგენს: აი, ბოროტ-მომქმედნი ქრთამს მაძლევენ, რომ საქმე გავაჩუმო და აღარ ვეძებო მკვლელებიო. მაზრის უმფროსმაც დაატანა ძალა და სულ გამოათქმევინა საქმის ვითარება. დამნაშავენი მაშინვე დაატუსაღეს.

ქემერტელი.

ხობი (ზუგდიდის მაზრა). დიდმა კრონოსმა წყალობის თვალით გადმოჰხედა მოსავალს და სოფლელებს იმედი არ გაუცრუა. სიმინდი ჯერ-ჯერობით საიმედოა. რაც შეეხება იზაბელას, მგონი ერთბაშად შეგვისრულებს იმას, რაც წინა წლებში დაგვაკლო. ივლისი ერთობ წვიმიანი იყო და ხობის წყალი ისე მოდიდდა, რომ კალაპოტს ზევით ასცდა და ახლომახლო სიმინდები და ვაზები ცოტ-ცოტათ გააფუჭა. აქა-იქ ბავშვების ავათმყოფობაც არის, მაგრამ ჯერ-კი არავინ უმსხვერპლია. სიმინდის ფასმა ძალიან იმატა. წინეთ 35 კაპ. იყიდებოდა ხოლმე ამდროს და ახლა 80—90-ზე ავიდა. გაჭირვებულმა გლეხ-კაცობამ სიმინდი ისე გაჰყიდა (35 კაპ.), რომ სარჩო სამყოფი არ დაიტოვა და ახლა თავისსავე სიმინდს ჩარჩებისაგან ყიდულობს 80—90 კაპ.

გასულ თვეში გაუფრთხილებლობის მსხვერპლად გახდა გლეხი გერასიმე ერქვაშია. საქმე ასე იყო: ყმაწვილი ონისიმე სოსელია თოფს თურმე ათამაშებდა, უცბად იგრიალა თოფმა და იქვე მდგომი გლეხი ერქვაშია მიწაზე გაიშხლართა. მკვლელი დაჭერილია.

არც აქაურ ინტელიგენციას სძინავს, ესენი, რაც ძალა და ღონე აქვთ, სცდილობენ ხალხს გონების საზრდო მიაწოდონ. მასწავლებლის კ. დ. თათარიშვილის თაოსნობით ორი წარმოდგენა გაიმართა ამ ზაფხულს; პირველ წარმოდგენაზე ხალხი ბლომად დაესწრო და ჩვენდა საუბედუროდ ქალები მეტად ახალ მოდურ ქართულ კილოზე ლაპარაკობდნენ; მეორე წარმოდგენაზე ხალხი ნაკლებ დაესწრო. ფასები ხელ მისაწვდომი იყო.

დადგა აგვისტო და ხობელებმა დაიწყეს სადღესასწაულო მზადება. ეს დღესასწაული განთქმული თემობაა სამეგრელოში, „მარაშინობა“ „მარიამობის“ დღესასწაული, რომელსაც თან მოსდევს „იარმუკობა.“ ეშველებათ აქაურ „ბარიშნებს“ და ამოალაგებენ „ზანდუკიდგან“ ოფლით ნაშოვნ „პარკების ფულს“, რომ ბლომად იყიდონ „უმარილი“ და ზიზილ-პიპილები. ხობელების ოჯახებისთვის სწორეთ უბედურებაა ეს დღესასწაული: ისეთი მოსახლე არ მოიპოვება ხობში, რომ 7—8 მეტი სტუმარი არ ეწვიოს და მთელს კვირას იმათ სადილ-ვახშმის მზადებაში არ იყოს. კარგი იქნება, მალე მოისპოს ეს ჩვეულება, რომელიც ასე საგრძნობლად აღარიბებს ჩვენს ხალხს. ხშირად ხდება ასეთი მაგალითიც, რომ მოდის მთელი ოჯახი, ესტუმრება სრულიად უცნობ ოჯახს და ეუბნება:—„ბეჩა, მამაშენი ხომ პაპაჩემის ნათლული იყოო“ და შეიქმნება პატიჟობა. თუმცა სასტუმროებიც არის ხობში, მაგრამ რა ჭკუაა სასტუმროში ფულის დახარჯვა, როდესაც პაპის-პაპის ნათლულებთან უფულოთაც იქეიფებს!

ხობელებს ათასი მანეთი ფოსტის ფული მართებთ. ამას წინად თვით გუბერნატორიც იყო ხობსა და ხეთაში. ნეტა როდის მოახერხებენ ჩვენი სოფლელები ამდენი ვალის გადახდას.

დიდის გაოცებით წავიკითხეთ „ცნობის ფურცლის“ სურათებიანს დამატებაში (№ 50) ვიღაც ჰიანეთელის ფანტაზიის ნამოქმედარი შესანიშნავი ესკიზი (პასკვილი) მეგრელებზე. ძალიან გვიკვირს ყველას, თუ რა მიზნით იყო გამსჭვალული ბ-ნი ავტორი, როცა ამ ყოვლად უმსგავსო ესკიზს სწერდა. ამ ესკიზის წაკითხვამ უცბად გაგვახსენა ჩვენის გენიოსის შოთა რუსთველის სიტყვები: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა გულსა!“

ჯა—უ.

—

ლანჩხუთის სამკითხველოს ანგარიშის გამო. გურიის ყველა სოფლებში არსებობს სამკითხველოები; ამათგან არც ერთს ისეთი წყარო არსებობისა არ ჰქონია, როგორიც ლანჩხუთისას. ეს გახლდათ წიგნების სავაჭრო მაღაზია, რომელიც ჩვენმა სამკითხველომ შეიძინა ამ ოთხი წლის წინად და მით მოიპოვა დაუშრეტელი წყარო თავის არსებობისათვის. მაღაზია ყოველ წელს იმდენ მოგებას იძლეოდა, რომ მით სამკითხველოს ყოველივე ხარჯებს ჰფარავდა და კიდევ რამდენიმე თუმანი ძირითად თანხას ემატებოდა. ვინ წარმოიდგენდა, რომ ჩვენს სამკითხველოს ოდესმე გასაჭირი დაადგებოდა! მაგრამ წარსულის წლის მოუსავლობამ სწორედ ასეთ გასაჭირში ჩააგდო სამკითხველო.

წარსულ წელში საზოგადო კრებამ მმართველად აირჩია აქაურის სასოფლო სკოლის ზედამხედველი ბ-ნი კირილე ლაზარეს ძე წილოსანი, რომელმაც ჩაიბარა მისი წინა-მოადგილისაგან ნაღდ ფულად 401 მან. და 91 კაპ., გასაყიდი საქონელი მაღაზიის 149 მან. 33 კ., ურატაძისაგან ასაღები 18 მან. და 9 კაპ., და სულ 569 მან. და 33 კაპ.

დღეს, როცა მას აქეთ ერთი წელიწადი უკვე გავიდა, სარევიზიო კომისიამ შეამოწმა ანგარიშები, და აღმოჩნდა: წლის განმავლობაში ბ-ნს კ. წილოსანს მაღაზიაში ნავაჭრი მიუღია 797 მანეთი და 39 კაპ., გაუსყიდია გაზეთები 6 მან. და 70 კაპ., გრ. ურატაძისაგან აუღია 18 მან., ანგარიშში 9 მანეთი. ამას რომ შევაკეცოთ ის 401 მან. და 91 კაპ., რომელიც ბ-ნ კ. წილოსანმა ნაღდად ჩაიბარა, შესდგება სულ 1215 მან. დაუხარჯავს: სავაჭრო საქონელი 575 მან. 32 კაპ., მიწა სამკითხველოს შენობის ასაგებად უყიდია 130 მან., მაღაზიაში და სამკითხველოში მსახურის ჯამაგირი 60 მან., გაზეთების გამოსაწერად 46 მან. 10 კაპ., სხვა-და-სხვა ხარჯები 34 მან. 2 კ. და სულ 845 მან. 44 კაპ. დახარჯულის გამოკლებით ნაღდ ფულად რჩება ბ. კ. წილოსანის ხელში 369 მან. 57 კაპ.

ეს ანგარიში სარევიზიო კომისიამ წარუდგინა საზოგადო კრებას, რომელიც მოხდა ივლისის ათს, თუმცა წევრების მომეტებული ნაწილი დიდი უკმაყოფილო იყო იმისა, რომ ამ წელში მოგება არაფერი გამოჩნდა, მაგრამ ანგარიში მაინც დამტკიცა.

ამავე დღეს კრებაზე კითხვა აღიძრა იმ 29 მანეთის შესახებ, რომელიც აგერ ორი წელიწადია ბ-ნ მხეიძეზე ითვლება ვალად და დღემდე ვერ მოუწვდია სამკითხველოსთვის. ბ. ნ. მხეიძემ განაცხადა: „მართალია, ეგ ფული ჩემზედ ითვლება მას შემდეგ, როცა მე სამკითხველოს მმართველად ვიყავი, მაგრამ გრ. ურატაძის წაღებულია, როცა ჩემთან ერთად სამკითხველოს გამგეთ იყოო“. გრ. ურატაძემაც აღიარა სიმართლე ამ სიტყვებისა და ითხოვა ნ. მხეიძის განთავისუფლება და ვალის თავის სახელზე გადატანა.

შემდეგ ჯერი მიდგა იმ 18 მანეთზე, რომელიც ამავე გრ. ურატაძეს წაუღია სამკითხველოდგან ამ ორის წლის წინად. აქედგან ცხრა მანეთი გადაუხდია კრების წინა დღეებში, ხოლო მეორე ცხრა მანეთის შესახებ განაცხადა: წარმოდგენის ბილეთები გავეცი ნისიად, ფული ვერ ავიღე და იქიდგან დამედვაო, და ამ ცხრა მანეთის პატივება ითხოვა კრებისაგან. კრებამ ამ სიტყვების შემდეგ გადახდილ ცხრა მანეთზე კამათი მოსპო, ხოლო გადაუხდელ ცხრა მანათის შემოტანა დააკისრა.

ამ კითხვის დაბოლოვების შემდეგ არჩევანები უნდა მომხდარიყო, მაგრამ ბ. კირ. წილოსანმა განაცხადა: „მართალია, მე გუშინ ანგარიშებზე თანახმა ვიყავი, მარა, მეგონა, ისევ მე მტოვებდით სამკითხველოს მმართველად და ამიტომ არაფერი ვთქვიო. დღეს, როგორც ვატყობ, კრებას ჩემი გამოცვლა სურს და თავსაც-კი დავანებებ, მაგრამ თქვენს დამტკიცებულ ანგარიშებზე თანახმა არა ვარო“. კრებამ აირჩია ახალი გამგეობა სარევიზიო კომისიის წევრებითურთ და მათ დაავალა ბ. კირ. წილოსანისაგან მიეღოთ ყოველივე ქონება.

არჩეულმა პირებმა მოსთხოვეს. ბ, კირ. წილოსანს ანგარიშების ჩაბარება, მაგრამ უარი განაცხადა. „ისევ იანგარიშეთო“. მოახდინეს ანგარიში და, თუ არ მოემატა, არაფერი დააკლდა. მაშინ წილოსანმა სთქვა: „ერთს კვირაში ჩაგაბარებთო“. გავიდა ერთი კვირა, მოსთხოვეს ჩაბარება. „კიდევ იანგარიშეთო“, განაცხადა წილოსანმა. იანგარიშეს, იგივე დარჩა. მაშინ თქვა: „ბიჭმა დამიბნია და ორი თუმანი მაპატიეთო“. მოახდინეს კრება და კრებამ აპატივა 19 მან. და დანარჩენის 350 მან. გადახდა ბ. წილოსანს დაავალა ერთ კვირაში. გავიდა ერთი კვირა, 10—15 დღე და ეხლა ამბობს, ხუთი თუმანი მაპატიეთო. აღარ იცის კაცმა, რამდენის პატივებას თხოულობს! 9 თუმანი უკვე ეპატია და კიდევ ხუთ თუმანს თხოულობს. შესაძლებელია, შემდეგ მთელის თანხის პატივება ითხოვოს!

სამკითხველოს გამგე გ. ზენაიშვილი.

სარევიზიო კომისიის წევრნი
ი. მახარაძე.
ლ. გვერჯალოვი.
ილ. გოგიჩაიშვილი.

კავკასია

ბაქოს ახალ გაზეთს „Бакинскія Извѣстія“-ში ვკითხულობთ: „ამ ბოლოს დროს კალიფორნიაში გაჩნდა ნავთის ახალი ნაწარმოები—**ნავთის ბრიკეტები**. სიიაფითა და სიმკვრივით ეს ბრიკეტები არ ჩამოუვარდება ქვანახშირისას და ამიტომაც მათ ყველგან უპირატესობას აძლევენ. ამ ცოტა ხანში ბიმონტში (ტეჰასის შტატი) უკვე შესდგომიან განსაკუთრებულის ქარხნის მოწყობას ნავთის ბრიკეტების საკეთებლად.

—

ეჩმიაძინს ახლოს 28 ივნისს ფოცხვერს დაუგლეჯია აიარლუს მცხოვრები გლეხ-კაცი, ესე 45—50 წლისა; გლეხ-კაცს მძინარეს მიჰპარვია ეს ონავარი პირუტყვი („მშაკი“).

უცხოეთი

ინგლისი. ახალ-შენების პრემიერთა კონფერენციის კრებები უკვე დასრულდა. როგორც ვიცით, ამ სხდომებზედ გარეშე კაცს არ ისწრებდნენ, რომ შინაური საქმეები არ გამოემჟღავნებიათ და ქვეყნის სალაპარაკოდ არ გაეხადათ. არც ანგარიშები დაიბეჭდება დაწვრილებით; გამოცხადდა მხოლოდ შედეგი, და, თუმცა ზოგიერთი მუხლი ერთმანერთს არ ეთანხმება, მაგრამ საზოგადოდ ეტყობა, რომ სადამოჟნო კავშირზედ ყველას მოუწერია ხელი. მთავრობის გამარჯვება იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისის გემებს, რომელთაც მიმოსვლა აქვთ ახალშენებთან, ზოგი რამ შეღავათი მიეცათ. მაგ., ახალმა ზელანდიამ და კანადამ ინგლისის გემებისათვის სადამოჟნო ტარიფს დაუკლო.

ცნობილმა პუბლიცისტმა—არნოლდ უჰაიტმა, რომელმაც ზედ-მიწევნით იცის ახალშენთა საქმეები, განაცხადა, რომ ახალშენებს არავითარი სურვილი არა აქვთ დაუახლოვდნენ და მჭიდროდ დაუკავშირდნენ ინგლისსაო. იგინი დარწმუნებულნი არიან, რომ ინგლისი მათ ვერაფერ ხეირს მისცემს და ზარალით-კი ბევრს აზარალებსო.

— გაზ. „Morning Post“-ს იოჰანესბურგიდგან ატყობინებენ, აქ ხმა გავარდა, რომ ბოტა და დელარეი ახალ საკანონმდებლო საბჭოს წევრად ინიშნებიანო.

— სამინისტროს რჩევით ნატალის გუბერნატორს უპატივებია სასჯელი ყველასთვის, რომელთაც სახელმწიფოს ღალატი ჰბრალდებოდათ და ორ წლამდე დაპატიმრება უნდა მისჯოდათ; მხოლოდ ეს განკარგულება არ ეხება მათ, რომელთაც ჯარიმა ჰქონდათ გადაწყვეტილი.

საფრანგეთი. ნაციონალისტთა გაზეთების სიტყვით, კომბს დეპეშით გამოუცხადებია საყვედური დეპარტამენტ ფინისტერის პრეფექტ კოლლინიონისათვის იმის გამო, რომ მან მიიღო ადმირალ კიუვერვილლის წინადადება—განსაჩივრებულ იქმნას მთავრობის განკარგულება სახელმწიფო საბჭოში—და თავის უხეირო პოლიტიკით ხელი შეუშალა კანონის სისრულეში მოყვანასაო.

ჰოლანდია. როტერდამელი კორესპონდენტი ატყობინებს გაზ. „Local-Anzeiger“-ს, პრეზიდენტმა კრიუგერმა, იმ ჭორების გასაბათილებლად, ვითომც იგი წაჰკიდებოდეს განსვენებულს ლუკა მეიერს, შემდეგი წერილით მიჰმართა მეიერის ქვრივს.

„ზოგიერთმა გაზეთებმა ხმა დაავლო, ვითომც მე წავკიდებოდე განსვენებულს თქვენს მეუღლეს იმის გამო, რომ ლონდონში ყოფნის დროს ზოგიერთ არა-სასურველ კაცებისაგან მიიღო მიპატიჟებაო. თამამად შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს ხმები სრულებით უსაბუთო და უსაფუძვლოა, რადგან მე და თქვენს მეუღლეს ერთი სიტყვაც არ დაგვიძრავს ამის შესახებ. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია ამის განცხადება, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ცოტად მაინც ანუგეშებს თქვენს დაწუხებულს გულს ეს გარემოებაო“.

პორტუგალია. კარგა ხანია ინგლისმა მოლაპარაკება გაჰმართა პორტუგალიასთან, დასავლეთ-აფრიკის ახალშენები დამითმეო—თუ სულ არა, ნაწილი მაინცაო. ეხლა, როგორც ლონდონიდგან ატყობინებენ „Berl. Tagebl.“-ს, ლორდ მილნერი მისულა ლორენცომარკეზეს და ჰსურს საბოლოოდ მოელაპარაკოს პორტუგალიის წარმომადგენლებს. კორესპონდენტი ირწმუნება, რომ ლორენცომარკეზეში მეტად დიდ თანხას გაიღებს ინგლისი, ოღონდ-კი პორტუგალია დასთანხმდესო.

შუა-ამერიკა. კარაკასში მყოფი ამერიკის ელჩი მეტად უნუგეშო ამბებს იუწყება ვენეცუელის რევოლიუციის შესახებ. ინსურგენტებს აგვისტოს 8-ს (ახ. სტ.) აუღიათ ქალაქი ბარცელონა. ქალაქს იცავდა მთავრობის ჯარი, მაგრამ ალყა შემოარტყეს და სამი დღის სასტიკ ბრძოლის შემდეგ დაჰნებდა ინსურგენტებს. ტყვედ წაიყვანეს გარნიზონის უფროსი, 8 გენერალი და 23 პოლკოვნიკი.

ფელეტონი

ერთობის იდეალი ბ-ნის „კალამისა“ და პუბლიცისტური უსუსურობა ბ-ნის „მოსაუბრისა“ *).

„ცნ. ფურცლის“ ხსენებულ №-ში დაიბეჭდა ერთი პატარა წერილი ბ-ნის „კალამი“-სა, პატარა, როგორც გარეგან, ისე შინაგან. წერილი ყურადღების ღირსი არ იქნებოდა, რომ საყურადღებო საგანს არ ეხებოდეს, და ამიტომ იძულებული ვართ გავარჩიოთ.

მაგრამ, რა უნდა გაარჩიოთ, როცა შიგ არა რია-რა?! თავიდან ბოლომდე ავტორი მხოლოდ იმას გაიძახის: „ერთობა, ერთობა სომხებთანაო“. რაში უნდა გამოიხატებოდეს ეს ერთობა, ამის შესახებ-კი მჭევრ-მეტყველურად დუმან ბაგენი მისნი. „არც არმენოფილი ვარ, არც არმენოფობიო“, ბრძანებს, მაგრამ ეს ხომ ცალიერი სიტყვებია. მეორე მისი აზრია (?) „ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებდა კავკასელ ერების ერთობა“. აქაც ხომ ცალიერი, ლიტონი სიტყვებია, სხვა არაფერი. მესამე აზრი, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ფრაზა: „ჯერ-ჯერობით კავკასიის ერნი არ განვითარებულან იმდენად, რომ შეგვეძლოს ჩვენს ურთიერთობაში სამართლიანობის დამყარება“, ეს საანბანო ჭეშმარიტება თუ ავტორს ჰგონია, რომ პირველად მან ამცნო ქვეყნიერობას, ნეტარ არს იგი გულუბრყვილობისათვის თვისისა. მეოთხე: „ერთმანეთის უფლება უნდა აღვიაროთო“, ისევ და ისევ ლიტონი სიტყვები. ყველას სჯობია-კი მეხუთე აზრი (?) „უპირველესად ჩვენ გულწრფელნი ვართო“. დავუჯეროთ ბ-ნს „კალამს“, თუ გნებავთ, მისი გულწრფელობა, მაგრამ დავარწმუნებთ-კი, რომ პუბლიცისტისათვის ცალიერი გულწრფელობა არ კმარა. დასასრულ, ავტორი აპირობს ებრძოლოს არა გულწრფელ სომხებს გულწრფელ სომხების დახმარებით! „ჩვენ ვიცით, რომ არიან ისეთი სომხები, რომელნიც გულწრფელნი მომხრენი არიან კავკასიელთა ერთობისა, ისინი ჩვენთან არიან და ჩვენც მათთან ვიქნებით ყოველთვის“. ოჰ! საცოდავო ქართველო ლიტერატურა, როდემდის იქნები გონებით საპყარ, უბადრუკ მწერლების ხელში, როდის გეღირსება მათგან განთავისუფლება?!

საკვირველ აზრის სიმჩატეს, სიბეცეს იჩენს აგრეთვე „კვალის“ მთავარი პუბლიცისტი ბ-ნი „მოსაუბრე“. ფარვანასავით დაჰფრინავს, ყველაფერს ეპოტინება, ედება თავისი მსუბუქ ფრთებით, ეხება ოდნავ, თუმცა-კი სწამს, რომ რასაც-კი ფრთა შემოვკარი, ყოველივე ძირს დავსციო. ნეტარ არიან მორწმუნენი! კრიტიკა მისი არის წარმავალი, როგორც ნიავი, მჩატე, როგორც ბუმბული, სრულიად მოკლებული სიღრმეს. მის ნაწერებში ცხადად სჩანს უსუსურობა, არარაობა აზრისა. არ უარ-ვყოფთ, გრძნობის ნასახი-კი მოიპოება მის გულში. ეს გრძნობა გამოწვეულია სხვა-და-სხვა ანორმალურ გარემოებისაგან, მოტივი—მისი გამწვავება-გაბოროტებაა ისევ თავის მოძმეებზედ. აზრმა, ანუ უკეთ ვსთქვათ, უაზრობამ ვერ მიჰმართა გრძნობის სიმწვავე შესაფერ გზისაკენ. ეჰ! ბ-ნო „მოსაუბრე“, „ვის არ სახმილი სდებიან?!“ გრძნობა კეთილ-შობილი ფუჭია, თუ მას გონება წინ არ უძღვის!

ერთი საბუთიც თავის გონებრივ უსუსურობისა ბ-ნმა „მოსაუბრემ“ გვიჩვენა „კვალის“ ზემოხსენებულ ნომერში.

„ამგვარი კითხვაა ქართველ-სომეხთა კითხვა, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, არავითარი კითხვა არ არის“,—ბრძანებს ბ-ნი „მოსაუბრე“. მაშ, საზოგადოდ ეროვნული საქმე არ ყოფილა, ბ-ნო „მოსაუბრე“?! მაგალითად, ინგლის-ირლანდიის საქმე, პოლონელ-გერმანელთა საქმე, უწინდელ ავსტრო-იტალიელთა, ბერძენ-თურქთა და სხ. საქმეები არ ყოფილა!?. მაშ რად არიან სახელმწიფონი ეროვნების პრინციპზე დამყარებულნი?! რატომ შეადგენდნენ, მაგალითად, ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები, რუსები ცალ-ცალკე სახელმწიფოებს?!

დიაღ, ეს დიდი ფაქტები ისტორიისა და ეხლანდელის ცხოვრებისა ცხად ჰყოფს, რომ ეროვნული საქმე მხოლოდ „ივერიის“ მოგონებული ფანტაზია არ არის, როგორც ეს ბ-ნ „მოსაუბრის“ საცოდავ ფანტაზიას ჰგონია.

რაც შეეხება კერძოდ სომეხ-ქართველთა საქმეს, ბავშმაც-კი იცეს მისი სიმწვავე და სიდიდე.

საბრალოა ის მწერალი, რომელსაც მოსაუბრისებურ კაცთანა აქვს კამათი. უნდა ამტკიცო, რომ ორჯერ ორი ოთხია, და, რასაკვირველია, ასეთი ოპერაცია არც აზრს აკმაყოფილებს და ვერც საგნის გამორკვევას უწყობს ხელს.

„მოსაუბრე“ საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იმისას, თუ როგორ ამახინჯებს დაბალი გონება დიდ მოაზრის ღრმა იდეას. ჩვენს უსუსურ პუბლიცისტს მუდამ „ეკონომიკა“ აკერია ენაზე და, რადგან „ეროვნობას“ „ეკონომიკა“ არ სახელ-ეწოდების, ამიტომ მისთვის ეროვნობა არ არსებობს არც წარსულსა და არც ახლანდელ ცხოვრებაში. გერმანელთა დიდის ეკონომისტისათვის ეკონომიკა-კი ის მეთოდი, ის იარაღი იყო, რომლის საშუალებითაც სცდილობდა აეხსნა სოციალურნი მოვლენანი, როგორც ეროვნულნი, აგრეთვე გონებრივნი, ზნეობრივნი, უფლებრივნი და სხ.

ჩვენ ჩვენის მხრივ ეკონომიური თეორია იმ სახით, რა სახითაც ხსენებულ ეკონომისტის მიმდევრებმა აღიარეს, მიგვაჩნია ცალმხრივ თეორიად.

ხოლო იმავე თეორიას იმ სახით, რა სახითაც იგი თვით იმ ეკონომისტმა დაგვიტოვა, ღრმა მნიშვნელობა აქვს. იგი ჰნიშნავს იმას, რომ ეკონომიური მოვლენანი ორგანიულად შეკავშირებულნი არიან უფლებრივ, გონებრივ და ზნეობრივ უფლებასთან. თუ ვიცით, როგორი იყო იარაღი შრომისა, შეგვიძლიან აღვადგინოთ ჩვენს გონებაში სოციალური წეს-წყობილება, ჩვეულებანი და სხ., როგორც მამონტის თეძოს ერთის ძვლის საშუალებით ჩვენს გონებას შეუძლია წარმოიდგინოს მისი მთელი ჩონჩხი. პირ-იქით, თუ ვიცით სოციალური წეს-წყობილება, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ დაახლოვებით, როგორი იყო შრომის პროცესი და სხ. ერთის სიტყვით, საზოგადო მოვლენანი წარმოადგენენ ერთს მთელს, მისნი ნაწილნი ორგანიულად არიან შეერთებულნი ერთმანერთთან, თვითეული ნაწილი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ რასმე.

აი, რა აზრი გამოვიტანეთ ჩვენ ხსენებულ მწერლის ღრმა თხზულებათაგან და გვიკვირს, რად ეძახდა თავის სოციალურ თეორიას ეკონომიურ თეორიას; უმჯობესი იყო დაერქმია თეორია ორგანიულის ერთობისა სოციალურ მოვლენათა შორის.

თქვენ-კი, ბ-ნო „მოსაუბრე“, თქვენი ფრთა-შეკვეცილ აზრის მეოხებით სახელს უტეხ ჩვენში კაცობრიობის ღრმა აზროვნობის დიდს წარმომადგენელს. თქვენ, უკაცრავად ამ სიტყვისათვის, სრულიად არა გესმისთ-რა

---

*) იხილე „კვალი“ 7 ივნისისა 1902 წ. და „ცნ. ფურც.“ 1855 ნომერი.

შენობები გასცარცვეს და სრულიად გაანადგურეს; დედა-კაცები და ბავშვებიც-კი არ დაინდეს: ბევრი მათგანი გააუპატიურეს და სასტიკად სტანჯეს. არც უცხო ვაჭრებს დააყარეს ხელი, სუყველაფერი წაართვეს. ხელში ჩაიგდეს საფრანგეთის კაბელი (ზღვაში გაყვანილი სადეპეშო მავთული), გაძარცვეს ამერიკის, იტალიისა და ირლანდიის საელჩოები. უცხოელთა კონსულები სამხედრო გემების მოშველებას თხოულობენ. ვაშინგტონიდგან უკვე გაუგზავნიათ ერთი სამხედრო გემი.

სხვა-და-სხვა წერილები

ქართულის ენის თვით-მასწავლებლის საჭიროება.

(ჩვენის პედაგოგების საყურადღებოდ)

აგერ მესამედ მომდის წერილი რუსეთიდან და მთხოვენ: რუსებისათვის ქართული ენის თვით-მასწავლებელი გამოგვიგზავნეო. ამ ორის წლის წინათაც გავუგზავნე რუსეთშივე ბ-ნ მ. ნასიძის შედგენილი თვით-მასწავლებელი. ეხლაც იმას დავუწყე ძებნა, მაგრამ ვერსად ვიშოვე. მდივანოვის შედგენილს თვით-მასწავლებელს თუ იშოვის კაცი (ისიც ძნელად) ბუკინისტებში, მაგრამ ამ წიგნის ღირსება, როგორც სახელმძღვანელოსი, ისეთია, რომ იმაზე ლაპარაკი მეტად მიმაჩნია.

არამც თუ მარტო მე დავეძებ, ბევრნი სხვანიც კითხულობენ ამ გვარს წიგნს და ვერ-კი უშოვიათ. სურვილი ქართულის ენის შესწავლისა სურვილადვე რჩება, ხოლო თონე ვიდრე ცხელია, თუ არ დააკარით პური, მერე აღარ გამოცხვება. როცა დრო გაივლის ქართულის სწავლის სურვილი და ხალისიც გაივლის, და მერე შეიძლება სულაც აღარ მიაქციოს კაცმა ამ ენას ყურადღება.

ერთის სიტყვით **თვით-მასწავლებელი ქართულის ენისა რუსთათვის ყოვლად საჭიროა, და საჭიროა, რაც შეიძლება მალე გაჩნდეს.**

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციონ ჩვენმა პედაგოგებმა და უნდა იკისრონ ამ გვარ სახელმძღვანელოს შედგენა; რასაკვირველია, წიგნი რიგიანად და ახალ მეთოდის მიხედვით უნდა იყოს შედგენილი, რომ ქართული ენის შესწავლა ადვილი იყოს უმასწავლებლოდ,— გამომცემელსაც მალე იშოვნის შემდგენელი და გაყიდვითაც მალე გაიყიდება.

თუ ახალს ვერ შევადგენთ ახლო ხანში, ძველი თვით მასწავლებელი ბ-ნი მ. ნასიძისა მაინც უნდა დაიბეჭდოს, რომ დაკმაყოფილდეს საჭირო მოთხოვნილება და რუსთ არ ვათქმევინოთ, ქართველებს ისიც ვერ მოუხერხებიათ, რომ იმათის ენის შესწავლის მსურველთ ხელი მოუმართონ და თვით-მასწავლებელი შეუდგინონო.

დ. ნახუცრიშვილი.

ვუჩინოს სოია *)

პური და ყავა სოიაზე.

თავის საკვებ ნივთიერებით სოიამ დაიმსახურა დიდი ყურადღება: ამ მცენარეს მართლაც შეუძლიან ხალხს ხორცის მაგიერობა გაუწიოს და ამიტომ დიდად სასურველია, რომ ჩვენს ცხოვრებაშიაც ისეთი ადგილი დაიჭიროს, როგორც ჩინეთსა, იაპონიას, ინდოეთს და აზიის სხვა ქვეყნებში. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რა ნაირად უნდა მოვიხმაროთ სოიის მარცვალი და აყარებული ფოთოლი.

სოიის მარცვალი ერთობ მდიდარია ზეთით, ამისათვის სანამ მარცვალს დაფქვავდეთ, ფქვილად აქცევდეთ, საჭიროა რაც შეიძლება კარგათ გაახმოთ; მარტო მზის სიმხურვალე არ კმარა მის გასახმობად, მარცვალი უნდა ჩაჰყაროთ ქვაბში, და დადგათ ან ჩამოჰკიდოთ ცეცხლზედ; მარცვლებს არევა უნდა ჭურჭელში და როდესაც საკმარისად მოიშრება და მერე გაცივდება—დაფქვა უნდა ისე, როგორც სხვა პურეულის მარცვალს. თუ მარცვალი წინადვე არ გაახმეთ, მისი დაფქვა თითქმის შეუძლებელია: მარცვალი ცომივით მიეკვრება წისქვილის ქვას; და თუ ეს ქვა გაუწმენდელი და გაურეცხელი დასტოვეთ, პურეულის მარცვალსაც ვეღარ დაჰფქვავს, და რომ დაჰფქვას კიდეც, —ფქვილს გაამწარებს. ასე იქნება თუ ისე, წისქვილის ქვები ყოველ შემთხვევაში უნდა გაიწმინდოს სოიის დაფქვის შემდეგ.

თუ სოიის ფქვილი დიდ-ხანს იქნა შენახული, —დამწარდება, ამიტომაც საჭიროა იმდენი დაიფქვას, რამდენიც საჭიროა ორ-სამჯერ გამოსაცხობად, მით უმეტეს რომ მისი პური დიდხანს არ ხმება. მარტო სოიის ფქვილისაგან გამოცხვარი პური მძიმე და უგემური გამოდის, ამიტომაც მის ფქვილში ურევენ ერთს მესამედს ან მეოთხედს ხორბლის ან სიმინდის ფქვილს. ყველაზედ უკეთესია, რასაკვირველია, პური პატრონის გემოვნებაზედ იყოს, ამიტომ, ჩემის აზრით მსურველმა თითონ გამოსცადოს. რომელი პური უფრო გემრიელი იქნება—რომელშიაც მეტი სოიის ფქვილი ურევია, თუ რომელშიაც მეტი ხორბლის ფქვილი აქვს შეზავებული. ამისათვის უნდა გამოაცხობინოთ ისეთი პურები, რომელშიაც არის:

1) ნახევარი სოიის ფქვილი და ნახევარი ხორბლის ან სიმინდის ფქვილი 2) ერთი მესამედი—ორი მესამედი—3) ერთი წილი ორიდან სამი, ან ოთხი—ხორბლის ან სიმინდის ფქვილი და ბოლოს გამოსძებნით ისეთს პროპორციას, რომელიც დააკმაყოფილებს თქვენს გემოს.

სოიის ყავა (შავი).

სოიის ყავა თავის საკვებ ნივთიერებით ყველა ყავაზედ უმჯობესია და ამასთან ყველაზედ უფრო იაფია, ამიტომაც სოიის ყავის შემოღება ჩვენში ნამდვილ ყავის მაგივრად დიდად სასურველია.

სოიის ყავა კეთდება სულ ადვილად. აიღეთ სოიის მარცვლები, რამე ჭურჭელში,—ქვაბში ან რკინის კეცზე, ან ტაფაში,—ცეცხლზედ უნდა იმდენ ხანს ჰხალოთ, სანამ მარცვლებს მუქი—მიხაკის ფერი არ დაედება, და ძალიან არ გახმება; მოხალვის დროს მარცვლებს რევა უნდა; შემდეგ, როდესაც მარცვლები გაცივდება, ჰყრიან ყავის საფქვავ წისქვილში (ხელის წისქვილში) და ფქვავენ: სოიას ყავას, ჩვეულებრივის ყავის სუნის მისაცემად, უმატებენ ერთი მესამედიდგან ერთ-მეხუთედ ნაწილს ყავას.

სოიის ყავა გარეგნობით ჩვეულებრივ ყავასა ჰგავს, განსხვავება საკვებ ნივთების უმეტესობაშია და გარდა ამისა სოიის ყავა ისეთის შავის ფერის ნახარშს არ იძლევა, როგორც ჩვეულებრივი ყავა.

შესანიშნავი გამოდის სოიის გალეტები, რომელიც საუცხოო გემოსთან საკვებ ნივთების სიმდიდრით ყველა გალეტებს სჯობიან, რაზედაც ჩვენ თავის დროზედ გვექნება საუბარი მკითხველებთან.

ვუჩინოს სოიის დაბარება მსურველს შეუძლიან შემდეგ პირთაგან: თავ. კონსტანტინე ერისთავისაგან (Ст Свири), ბ. ა. ე. ვუჩინოსაგან (г. Кутаисъ—А. Е. Вучино) და ჩემგან (Кутаисъ Н. Мкурнали) ჯერ-ჯერობით სოია იყიდება მოხსენებულ პირებისაგან სამ კაპიკად გირვანქა, ან ექვს აბაზად ფუთი, შემდეგში იმედი გვაქვს მარცვალი გაიაფდება.

ნ. მკურნალი.

---

*) იხილე „ივერია“ № 139.

ნარკვევი

„მშაკის“ ა/წ აგვისტოს № 168 ბ-ნ ა. ლაშქარიანის პირით ატყობინებს სომხებს შემდეგს:

„რამდენიმე წელიწადია, რაც ტფილისის მახლობლად 15 ვერსის მანძილზედ ჩრდილოეთით საგარაკოდ გადაქცეულა სოფ. თელოვანი. ამ საგარაკოს ადგილ-მდებარეობა მომხიბლავი აქვს. მდებარეობს იგი მაღლობ მწვანედ მოსილ ვაკე-გორაზედ. ჩრდილოეთით ნახევარმთვარის მსგავსად შემოვლებული აქვს ტყიანი მთა, რომელიც საგარაკოს ჩრდილოეთით იფარავს ქარისაგან, სამხრეთით და აღმოსავლეთით-კი გახსნილია. საგარაკოს უმეტეს სიმშვენიერეს აძლევს ტყით დაბურული მისივე ხევი, სადაც გამოდის ცივი წყარო და აგრეთვე ტყის ჯებირი, რომელიც მოაგარაკეთათვის სასეირნო ადგილია.

სოფელი თელოვანი პატარაა, 6—7 მოსახლისაგან შემდგარი. საგარაკოდან სჩანს როგორც ტფილისი, ისე მის გარშემო რამდენიმე სოფელი. მიწა გამოსადეგია, როგორც ბოსტნისა, ისე ხეხილის გასაშენებლად. ვინმე პოპოვი რამდენიმე წელიწადია აქ ადგას მეფუტკრეობას და საქმე მიჰყავს დიდის წარმატებით. ადგილ-ადგილ წყაროებია; ნიადაგის ცოტა ღრმად გათხრით მომდინარე წყალი კარგი და გემრიელი. საგარაკოს ზემოდ იპოვება ერთი დიდი წყარო, რომელიც შეიძლება ძლიერ ადვილად იქმნეს გამოყვანილი, თუ საგარაკოს პატრონებმა ისურვეს. საგარაკოში გზა მიდის როგორც დიღომზედ, ისე მინდვრად და ის 15 ვერსი არც ისე ძნელი სასიარულოა, პირ-იქით იმდენი მშვენიერი სანახაობა ახლავს, რომ ადამიანი მხოლოდ მხიარულებასა ჰგრძნობს.

მაგრამ აქამდე რად რჩებოდა უჩინარად ტფილისზე ასე ახლო მდებარე ეს მშვენიერი ადგილი?

ეს ადგილი საკუთრება ყოფილა თურმე თავად მაღალაშვილებისა, რომელთათვისაც საგარაკოსაც წარმოადგენდა. აქვე აქვთ იმათ ერთი პატარა ეკკლესია და საგვარეულო სამარხი, სადაც მარმარილოს მშვენიერი ძეგლებიც არის. აქვთ ქვითკირის სასახლეც. გარემოება თურმე ისეთი გაჩენიათ მაღალაშვილებს, რომ იძულებულნი გამხდარან ეს მამული გაეყოთ და კაი ნაწილი დაეგირავებინათ. რა-კი ვეღარ დაიხსნეს ვადაზედ გირაოსაგან, მამული სავაჭროდ ხდება და ხელში უვარდება კნ. ელენე ციციშვილისას, რომელმაც ეს მამული წვრილ, ექვსას-ექვსას საჟენიან ნაჭრებად დაჰყო, კერძო კაცებს უნდა მიჰყიდოს და თავისთვისაც იტოვებს ერთს ნაკვეთსა. მიწის ნაჭრების მყიდველები მდიდარი სომხები არიან, სხვა შესაძენი მიწა აღარ არის, რის გამო ფასი მოიმატა. მაგრამ ეხლა მაღალაშვილებს ციციშვილის მაგალითის მიბაძვით თვითონ დაუწყიათ თავიანთ მიწების ნაწილ-ნაწილ გაყიდვა, თუმცა მათი ადგილი ვერაფრად ვარგა აგარაკების გასაშენებლად. ყოვლად გამოსადეგი ადგილი ციციშვილის ნაწილია, რომელიც კიდეც შეიძინა 150 კაცმა.

ეხლა მეტად კარგის და ევროპიულის გემოვნებით გაუკეთებიათ ორ-სართულიანი ცხრა სახლი, სადაც პატრონები სცხოვრობენ თავიანთ ოჯახობით.

ვისურვებთ, მეაგარაკეებმა ერთობლივ და გულმოდგინებით განავრცონ ახალ-შენი საგარაკო, რომელმაც შემდეგში შესაძლოა აჯობოს ტფილისის გარემო მდებარე სხვა აგარაკებს.

ბიბლიოგრაფია

ქუთაისში, ბ-ნ მ. გაჩეჩილაძის სტამბაში, დაიბეჭდა ვიღაც დ. მდ—საგან გამოცემული «სრული სიზმრის ახსნა, ანბანით და მთვარით, დამატებული მკითხაობა ფეტვის მარცვლით, ასით სიმღერალი და კვიმატი დღეები». წიგნი ღირს ხუთ შაურად; როგორც ჰხედავთ, ძლიერ იაფათ, შინაარსთან შედარებით; შინაარსი-კი სწორეთ რომ შესანიშნავია: მაგ. იქ სწერია, რომ „თუ რკინა გცემეს—მწუხარება და ჭირია“, „სოკო რომ მოაგროვო—სარგებლობას ნახავ“, «სახლს თუ ცეცხლი წაეკიდა—ზარალია“ (გვ. 17) (ალბათ თუ დაზღვეული არ არის!) „თუ თავის მარჯვენა მხარემ შეგითამაშა, ვინც გძულს, ის შეგიყვარდებაო“... ერთის სიტყვით, ამ წიგნიდგან ნათლად სჩანს გამომცემლის ზნეობრივი ფიზიონომია, ნათლად სჩანს ვაჭარი, რომელმაც ოღონდ ფული მოიგოს და შეიძინოს, გინდ თავი ახალოს ქვას, არას დაგიდევს.

ქუთაისს „მშვენიერი“ გამოცემები აქვს: აქ დაიბეჭდა მ. ჯაჭვაძის მიერ გამოცემული „კალენდარი“, რომელშიაც ქრისტეს ამაღლება ხუთშაბათის მაგიერ პარასკევს თუ ოთხშაბათს იყო დანიშნული!

ბ. ლომთათიძე.

წერილი

რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ჩვენს წერილს:

«კვალის რედაქციის მოთავენო! თქვენმა «პროგრესიულ მიმართულებით» განთქმულმა გაზეთმა, სხვა სფერაში, სხვა სალიტერატურო დარგში რა მოგახსენოთ, ხოლო უსაბუთოდ ლანძღვა-გინებაში და ცილის წამებაში დიდი «პროგრესი» გამოიჩინა. თქვენის გამოცემის წლევანდელ მე-8 №-ში მოთავსებული იყო წერილი გურიიდგან ბ-ნ ბენ. ჩხიკვიშვილისა, და ამ წერილში მეტის-მეტად უბოდიშობით და უტიფრობით იყო მოხსენებული სახელი აწ გარდაცვალებულის სიმონ ბერეჟიანისა, რომელსაც ბ-ნი კორესპონდენტი სრულიად უსაფუძვლოდ და უსაბუთოდ ოთხის კაცის გაძარცვას და მათგან ორი ათასის მანეთის მითვისებას აბრალებდა, მაზარაში ახვევდა და ციმბირისაკენ უთითებდა. მართებული რედაქცია, ვიდრე ასეთს ბრალდებას უტყუარი და უცილობელი საბუთი არ ექნებოდა ხელში, ასეთ შინაარსის წერილს არ დასტამბავდა და მარტო ოდენ ლიტონ სიტყვებს კორესპონდენტისას არ ენდობოდა. თქვენმა რედაქციამ-კი, არა-თუ დასტამბა ხსენებული კორესპონდენცია, არამედ ამაზე მეტიც ჰქმნა, ე. ი. კორესპონდენციაში მოთხრობილი ამბავი „შინაურ მიმოხილვის“ (კვალის იმავე №-ში) მასალად გამოიყენა და უფრო მწვავე და აუტანელი შეურაცხყოფა მიაყენა განსვენებულს. ვიცით, გესიამოვნებათ და ამიტომ გაგახსენებთ თქვენსავე სიტყვებს: აქ გაკვრით უნდა მოვიხსენიოთ ბერეჟიანი, რომელიც ისე დახელოვნებულია სოფლიდან ჩამოსული ხალხის გაყვლეფაში. ის არ კმაყოფილდება მით, რომ, როგორც მონოპოლისტი-მოიჯარადრე, საკმაო გამოსარჩენს იღებს უშრომლად და საკუთრებასაც ართმევს და ულუკმა-პუროდ ისტუმრებს ხალხს. როგორც ჩვენი კორესპონდენტი გვწერს, უჩივლიათ კიდეც მის მსხვერპლებს, მაგრამ მართლაც „ვინ იცის გამოვა თუ არა რამე“, რადგან სხვა არა იყოს-რა, ის წანაგლეჯი ორი ათასი მანეთი მაინც მეტ იარაღს აძლევს ხელში „თავის დასაცველად“... აქ ადამიანი აღარ არის, აქ ჩვენ საქმე გვაქვს „გიორგი პიტილინის“ ტიპის უმდაბლეს წარმომადგენელ არსებასთან და მისგან ადამიანობის მოთხოვნა ტყუილი იმედია“.

ამაზე უფრო უშვერად არა-თუ პრესსის განვითარებულნი წარმომადგენლნი, არამედ სირაჯ-ხანის განუვითარებელ ბიჭ-ბუჭებიც ვერ ახერხებენ ლანძღვა-გინებას. პროგრესია, მაშ რა არის! მაგრამ დავანებოთ თავი ამაებს და გითქვათ ის, რაც ამის შემდეგ თქვენმა რედაქციამ მიუდგომლობა და სამართლიანობა გამოიჩინა. უსაბუთოდ შეურაცხყოფილმა ს. ბერეჟიანმა საპასუხო წერილი გაახლათ, რომელშიაც თავის უდანაშაულობას ასაბუთებდა. თქვენ დაბეჭდეთ ეს წერილი (კვალი № 11) და დაღუმდით. ერთი უბრალო, ერთი ჩვეულებრივი საბოდიშო შენიშვნაც არ დაურთეთ, რომ კორესპონდენტის მიერ შეცდომაში იყავით შეყვანილი. რა-კი ეს არ ინებეთ, სჩანს, თქვენს ღირსეულ კორესპონდენტთან ერთად განსვენებულის სიმონ ბერეჟიანის შესახებ უწინდელსავე აზრისა ბრძანდებით. ამიტომ გთხოვთ სამედიატორო სამართალში მოგვყვეთ. ერთი კაცი თქვენ აირჩიეთ და ერთსაც ჩვენ გაახლებთ, ხოლო ორნივე მათის შეხედულობით მესამეს აირჩევენ. ამ სამმა კაცმა ადგილობრივ ქ. ფოთში მოიყარონ თავი, გაიგონ ყოველივე წვლილი იმ უთანხმოებისა და გაუგებრობისა, რასაც ერთის მხრით სიმონ ბერეჟიანსა და მეორეს მხრით სიმონ და ალექსი სიხარულიძეებსა, იულონ ცინცაძესა და ირაკლი ჩხიკვაძეს შორის მოჰხდა და რამაც გამოიწვია ბ. ჩხიკვიშვილის კორესპონდენცია, და შემდეგ საშინაურ-მიმოხილვო წერილი. თუ მედიატორები დაასკვნიან, ამ საქმეში განსვენებული სიმონ ბერეჟიანი იმდენად მტყუანი იყო, რომ „კვალს“ და მის კორესპონდენტს უფლება ჰქონდათ იმისი ადამიანობა სწორედ ისეთის სიტყვით და კილოთი მოეხსენებიათ, როგორადაც არის მოხსენებული, მაშინ ჩვენ გაახლებთ ათ თუმანს და ამ ფულით თქვენის არჩევით ღარიბ პირველ დაწყებით სკოლებს უგზავნეთ საყმაწვილო ჟურნალ-„ჯეჯილი“. თუ არა და—ბოდიში მოიხადეთ განსვენებულის სახელის წინაშე თქვენისავე გაზეთის ფურცლებზედ.

უკეთუ ამ წინადადებაზედ არ დასთანხმდებით—ეს იმის უტყუარი ნიშანი იქნება, რომ თქვენ სიმართლეს ემალებით და ჩვენც მეტი არა დაგვრჩება რა, რომ თქვენ მიერ შეურაცხყოფილი სახელი სიმონ ბერეჟიანისა სხვა გზით და სხვა წესით აღვადგინოთ. ეს ჩვენი ზნეობრივი ვალია, რადგანაც მისი სახელი ძვირად გვიღირს და ამას გარდა, თითონ განსვენებულს, რომ უდროოდ სიცოცხლე არ მოსწრაფებოდა, განზრახვა ჰქონდა სწორედ ასეთისავე წინადადებით მოემართნა თქვენთვის, როგორითაც მოგმართეთ ჩვენ. ქვრივი სიმონ ბერეჟიანისა ნინო ქარცივაძის ასული და ძმის-წული

სიმონ ბერეჟიანი.

* * *

ერთს უსაჭიროესს მოთხოვნილებათ ინგილოებისათვის უნდა ჩაითვალოს რომელიმე შუაგულ სოფელში დაარსება სამკითხველოსი, რადგან მთელ ზაქათალის ოლქში, სადაც-კი ინგილოები სცხოვრობენ, არც სამკითხველო და არც წიგნის მაღაზია არ არსებობს. თუმცა ამ სტრიქონების დამწერმა მივმართე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, რომ ქართული წიგნები გამოეგზავნა ჩემთვის გასასყიდათ, რომ ამ გვარად მაინც გამევრცელებინა ქართული წიგნების კითხვა, მაგრამ ჩემი თხოვნა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ვიმეორებ კიდევ და ვსთხოვ, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, ისე კერძო პირთ, რომ ქართული წიგნები გამოგვიგზავნონ, რადგანაც ს. კახში ამ უძველესს და შუაგულ საინგილოს სოფელში, აზრადა გვაქვს დავაარსოთ სამკითხველო. სამკითხველოს დაარსებას ინგილოთათვის, რომლებიც სრულიად მოწყვეტილნი არიან ქართველ საზოგადოებას, დიდი მნიშვნელობა ექმნება და ხალხიც (ინგილოები) დიდის სიხარულით მიეგებება ამ სასიკეთო საქმეს. წიგნების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით:

Кахи, учителю Георгію Парадашвили.

კახის მასწავლებელი გ. ფარადაშვილი.

„ივერიის“ ფოსტა:

ა. ნ. ს—ლს.—თქვენი ლექსი რაფიელ ერისთავის მიმართ არ დაიბეჭდება.

აბაშა, აბაშის-პირელს.—თქვენი ეტიუდი „არ იკმარე! მაშ სისხლი შენი, სისხლი!“ არ დაიბეჭდება.

ზუგდიდი, მ. კ—ას.—თქვენი „გაზაფხულის მელოდია“ და მეორე უსახელო ლექსი არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

7 აგვისტო

რიო-დე-ჟანეირო. უმეტესი ნაწილი საყავე მცენარის მოსაყვან ადგილებისა ყინვამ დააზარალა.

სარატოვი. საგუბერნიო ერობა ფინანსთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობს, რომ მიეცეს შემწეობად 200,000 მანათი ცეცხლისაგან უვნებელ სახურავების შემოსაღებად და გუბერნიაში წყლის აუზების გასაკეთებლად.

პეტერბურგი. დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე 7-ს აგვისტოს დაბრუნდა პეტერბურგს.

8 აგვისტო.

პეტერბურგი. „Правит. Вѣст.“ში მრეწველობის განყოფილება იუწყება, ფინანსთა მინისტრის ბრძანებისამებრ რომ 15 ოკტომბერს დაიწყება ათინის საერთაშორისო გამოფენა მრეწველობისა, ვაჭრობისა, ხელოვნებითა და ჰიგიენისა.

რეველი. საბჭომ გადასწყვიტა: იმის სახსოვრად, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა საბჭო, დავაარსოთ ორი საქალაქო და ორი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი იმპერატორ ნიკოლოოზ II-ის სახელზედ ვაჟთათვის, და იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სახელობაზედ ქალთათვის.

ლემანი. გლეხები შევიდნენ დეპუტატ დეტურნელ დე-კონსტანის სასახლეში, გაჩხრიკეს შკაფები, შეჰკრეს მოსამსახურენი თოკებით და სთქვეს, ჩვენ გვინდოდა დეპუტატი დაგვესაჯა იმიტომ რომ კონგრეგაციის საწინააღმდეგო კანონ-პროექტის სასარგებლოდ მისცა კენჭიო.

უტრეხტი. ბურთა გენერლები უკანვე დაბრუნდნენ გააგას.

ტოკიო. ჯერ სავსებით არ არის გამორკვეული, როგორ გათავდება არჩევნები პალატისა. როგორც ეტყობა, უმეტესობა ისევ

იმ მწერლის სოციოლოგიურ თეორიისა და თქვენს ეკონომიკას არავითარი საერთო არა აქვს-რა მის ეკონომიკასთან. გარწმუნებთ, ბ-ნო „მოსაუბრე“, რომ მისი ძვლები შეინძრეოდა საფლავში, რომ გაეგო, მოსაუბრე იჩემებს ჩემს წარმომადგენლობასაო კარგი მტერი ვერ დააკლებს კაცს იმდენს, რამდენსაც ცუდი მოყვარე.

სომხობის უმეტესი ნაწილი საქართველოში მშრომელი ხალხიაო—ბრძანებს ბ-ნი „მოსაუბრე“. რომელი სტატისტიკა ამტკიცებს ამას?! ჩვენ-კი ასე გვგონია, რომ საქართველოს სომხობის უმეტესი ნაწილი, დიდი უმეტესობა, ვაჭარ-ჩარჩები არიან. არიან, მართალია, აქ-იქ გლეხები, რომელნიც გრიგორიანთ სარწმუნოებას აღიარებენ, მაგრამ, ჯერ ერთი, მათი რიცხვი არც ისე დიდია და, მეორეც იგინი თითქმის ყველანი ტომით ქართველები არიან და მხოლოდ სარწმუნოებით არიან გრიგორიანები.

„ჩვენ არა ერთი, ასი და ორასი მშრომელი (სომეხი) ვიცით..., რომლის ბედი ქართველ მშრომელ ხალხზე უარესია“, ბრძანებს ბ-ნი „მოსაუბრე“. საკვირველია, სწორედ: რადგან ორასი გაჭირვებული სომეხია ქალაქში, ამიტომ ქართველმა ერმა თავი უნდა გასწიროს და სომეხ ვაჭარ-ჩარჩებს შეეჭმევინოს?! ubi mens! ubi ratio! რა ლოღიკური კავშირია ამ ორ მოვლენას შორის! რად უნდა მოჰყვეს პირველს შედეგად მაინცა-და-მაინც მეორე?! საცოდაობა ლოღიკისა ამას იქით ვეღარ წავა.

„ერთ მხარეს სდგანან: მრეწველნი, ვაჭრები, ჩარჩები და სხვა-და-სხვა“... „მეორე მხრით მშრომელი ხალხი“, გვაუწყებს ბ-ნი „მოსაუბრე“ და ჰგონია, ახალ ამბავს გვეუბნება. ეჰ, ბ-ნო „მოსაუბრე“, ვინ არ იცის ახლანდელ დროში ეს ფაქტი?!

მაგრამ ერთი რამ-კი ბევრმა არ იცის, არც თვით ბ-ნმა „მოსაუბრემ“. შესანიშნავი ენგელსი სწერდა, რომ თუ ვინიცობაა, საფრანგეთმა გერმანიას ომი აუტეხა ელზას-ლოტარინგიის გულისათვის, გერმანელი მშრომელი ხალხი თავ-განწირულებით იბრძოლებს საფრანგეთის წინააღმდეგ, რადგან, თუ გერმანია დამარცხდა, გერმანიის მშრომელი ხალხი დაიქსაქსება, ერთობას დაჰკარგავს, ძალა აღარ ექმნება, მით უფრო, რომ მრეწველობაც დაეცემა გერმანიაშიო. აი, ბ-ნო „მოსაუბრე“. იმ მწერლის აზრი, რომლის ფეხსაცმლის „ხამლთა“ გახსნის ღირსიც არა ბრძანდებით.

მაშასადამე, მშრომელი ხალხი აფასებს არა მხოლოდ პურს, არა მხოლოდ სამუშაო ქირას, თუმცა, ცხადია, პურს ერთი უმთავრესი ადგილთაგანი უჭირავს მშრომელ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესობაში, არამედ ამას გარდა კიდევ თავის ძალას, თავის ერთგვარობას, თავის ენას, თავის ლიტერატურას, თავის საერო კულტურას. ის მშრომელი ხალხი, რომელიც უარ-ჰყოფს ყოველსავე ამას, გარდა პურისა, ვერ არის ეხლანდელი მშრომელი ხალხი.

მაშ, ვერც ჩვენი მშრომელი ხალხი შეჰხედავს გულგრილად იმ გარემოებას, როდესაც სომხები სცდილობენ დაამხონ საქართველოში ქართული კულტურა, უარ-ჰყოფენ ქართულ ენას, სცდილობენ გაასომხონ ქართველი გრიგორიანები, უარსებენ მათ სომხურ სასწავლებლებს, უნდათ განაშორონ ძმები ძმებს, ჩამოგვისახლონ საქართველოში სომხები. თუ მშრომელ ხალხსა სწამს თავისი მერმისი და მომავალი, მან არ უნდა დაივიწყოს, არ უნდა ამოიფხვრას თავის გულიდგან ყოველივე კარგი, რაც-კი ქართველ ერს საუკუნოების განმავლობაში შეუმუშავებია და ჩვენთვის გადმოუცია. თუ ასე არ მოიქცა, მშრომელ ხალხს ნიადაგი გამოეცლება ფეხ-ქვეშ და ყოველივე ძალა და წარმატება მოაკლდება.

ბოლოს ბ-ნი „მოსაუბრე“ გვიკითხავს სახარებას იმის შესახებ, თუ რა არის გაზეთის დანიშნულება. სასაცილო იქნებოდა, რომ სამწუხარო არ იყოს! ვინ ბ-ნი „მოსაბრე“ და ვინ მქადაგებელი! „იცან თავი შენიო“, სთქვა სოკრატმა. იცანით თავი თქვენი, ბ-ნო „მოსაუბრე“; უმჯობესია, ქადაგებაზე ხელი აიღოთ და იმას მოჰკიდოთ ხელი, რისაც ძალი შეგწევთ.

რაც შეეხება „რიგოლეტოს“, რა უნდა ვთქვა იმაზე, ან-კი რა სახსენებელია?!

ულევლ ი.

წინანდელი იქნება. მარკიზმა იტომ შეირჩინა გავლენა.

ბერლინი. პრუსიაში კარგი მოსავალი იქნება ჭირნახულისა, თუ თბილი ამინდები დადგა.

სოფია. „ბოლგარის დეპეშათა სააგენტო“ უარ ჰყოფს იმ ხმას, ვითომ მთავრობა სცდილობდეს შეარიგოს ორი დასი მაკედონიის კონგრესისა. მთავრობა მხოლოდ თვალ-ყურს ადევნებს მაკედონიის მოძრაობას, რათა კანონი არ იქმნას დარღვეული, ხოლო კომიტეტის საქმეებში სრულიად არ ერევა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	463½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287½ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88¾ წვ. გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	97⅞ წვ. გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9800 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	183 წვ. გაყ.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 9 აგვისტოსათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე იაგუშოვისა და სოსია ხანდოლიშვილის დავა მამულის შესახებ.

სტეფანე მანიას და კონტარია ჩითანოვის დავა ხარზედ;

ელისაბედ თარხან-მოურავისა და ივანე ნეფედიევ-რომანოვსკის დავა აღმასრულებელ ფურცლის შესახებ

განცხადება

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან დაჰნიშნა 12 აგვისტოსათვის 1902 წლ. დილის 12 საათზედ ვაჭრობა 400 საჟენის საწვავ შეშის იჯარით მისაცემად ერთის წლის განმავლობაში. შეშა უნდა იყოს ოთხად გასაჭრელი. ეს შეშა დასჭირდება ქალაქის დაწესებულებათა, ტფილისის ადგილობრივ კომანდას და ტფილისისავე საკომენდანტო მმართველობას.

ვისაც სურს აიღოს იჯარით ამ შეშის მოტანა, შეუძლიან საჭირო პირობის შეტყობა გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე 2 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

(3—6.—2)

Открыта подписка на ежедневную (не исключая понедѣльниковъ) газету политической и общественной жизни и литературы

„Бакинскія Извѣстія“

Программа газеты: Дѣйствія и распоряженія Правительства; Телеграммы; Общія статьи по разнымъ вопросамъ; Хроника мѣстная, общая и иностранная; Корреспонденціи; Обзоръ печати; Фельетоны; Судебный отдѣлъ; Нефтяное и горное дѣло; Смѣсь; Справочный указатель.

Подписная цѣна: по 1-ое Января 1903 г. съ доставкою въ Баку и пересылкою въ другіе города—3 р., на 3 мѣсяца 2 р. и на одинъ мѣсяцъ 1 руб.

Такса за объявленія: За строку петита или мѣсто занимаемое ею впереди текста—10 к., а позади текста—7 к. Многократныхъ объявленій по соглашенію.

Редакція и контора изданія: пассажъ Шагиданова.

Первый номеръ уже вышелъ четвертаго августа.

Редакторъ-издатель.

Н. А. Гриневъ.

(3—у—2)

„GRAND PRIX“

PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

„Порфюмерія

Нильская Лилія“

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში იყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—4)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	»
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10

საბუღალტერო კლასები

დაარს. **ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.**

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცდენოლო, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუგოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოშენი**, ი. **ფ. გრუმლიკი**, ს. ე. **კოშლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—5)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუგლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა (კორესპონდენცია).** 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლმსაჯულება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—15)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

კავკავის სკოლაში ორი თავისუფალი ადგილია მასწავლებლისა.

გალობა-სიმღერის ცოდნა სავალდებულოა. ვისაც სურს ხსენებულის ადგილების დაჭერა, მან უნდა წარმოუდგინოს საჭირო დოკუმენტები თხოვნასთან ერთად ან საზოგადოების გამგეობას, ან თვითონ კავკავის სკოლის გამგეს ბ. პართენ ალექსანდრეს ძე გოთუას.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ესთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 ივლისისათვის 1902 წლისა.

აქტივი.

		მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები)		18625	10
II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში		100	—
III. ,, ,, ,, ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში		100	—
IV. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.		6000	—
V. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი:			
ა) უზრუნველ-ყოფილნი:	1760—76		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი:	7927—	9687	76
VI. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი		6309	49
VII. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი		287512	26
VIII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი უძრავის ქონებით		500	—
IX. პროტესტ-ნაქნარი თამასუქებისათვის გაგზავნილი		1045	—
X. განაღდება ვადიან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ.		3630	62
XI. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ.	12041—		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ.	39566—		
გ) საქონელზედ	25755—		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ.	4029—	81391	—
XII. დასაბრუნებელი ხარჯი		154	10
XIII. მოწყობა და მომართვა		2321	44
XIV. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	74017—08		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	12946—26	86963	34
XV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი		187	89
XVI. სხვა-და-სხვა დებიტორები		476	38
XVII. მიმდინარე ხარჯები.		7817	93
ბალანსი		512822	31

პასივი.

		მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 812 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან		87477	—
II. სათადარიგო თანხა		7354	46
III. შემოტანილი ფული:			
ა) მიმდინარე ანგარიშით	130135—57		
ბ) ვადით	128138—		
გ) უვადოდ	2339—	260612	57
IV. გარდასაცემი თანხა.		4622	38
V. გარდასახდელი სარგებელი		2131	12
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა		274	27
VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად		642	—
VIII. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	26344—69		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	48292—64	76637	33
IX. საგანგებო მიმდინარე ანგარიში სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფ.		18000	—
X. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში		19450	—
XI. განაღდ. თამასუქ ტფილ. საკომერც. ბანკში.		19500	—
XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა		2588	75
XIII. წაუღებელი დივიდენდი 1901 წლისა.		2486	72
XIV. მიღებული სარგებელი		12649	11
XV. მოგება და ზარალი 1902 წლისა		396	60
ბალანსი.		512822	31
პასუხის-მგებლობა 812 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ.		787293	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება		16600	—
თამასუქები საკომისიოდ.		1805	88

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.